№ 90
ხუთშაბათი, 27 აპრილი, 1900 წ.

**ხაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 90
ხუთშაბათი, 27 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

**სამსონ დარისპანის ძე წერეთელი** შვილებითა და მისნი ძმისწულნი **ნინო და ნატალია** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის ცოლისას, მეორენი—დედისას, ხოლო უკანასკნელნი—ძლისას

## ეკატერინე წერეთლისას

და სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. გარეჯვარში, სადაც განსვენებულის გვამი დაკრძალულ იქნება ხუთშაბათს, 27 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღეს. (4—6.—4)

ქვრივი **ევდუქსი ივანეს ასული** და შვილები მისნი **ივანე, დიმიტრი** და **ელისაბედ როსტომის ძენი** და **ასული საგინაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა, 25 ამა აპრილს, პირველი ქვრივასის ქმრისას და მეორენი საყვარელი მამისას პოლკოვნიკის

## როსტომ ივანეს ძის საგინაშვილისას.

პანაშვიდი იქნება გარდახდილი 26 აპრილს დღის 12 საათზე და საღამოს 7 საათზედ. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ საკუთარის სახლიდგან, კრასნოგორსკის ქუჩა, № 42, სიონის ტაძარში 27 აპრილს, დილის 9 საათზედ, წირვისა და პანაშვიდის მოსასმენად, საიდგანაც წაასვენებენ სოფელს ჩხიქვთაში საგვარეულო მამულში დასაკრძალავად. (2—104—2)

შაბათს, 29 აპრილს,

## ანასტასია რამიშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი ქ. ბათუმში, რასაც გარდაცვალებულის მეუღლე ისიდორე რამიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (1—6.—1)

# სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი

აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ წლიური საზოგადო კრება წევრთა დანიშნულია ამა წლის 29 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

### განსახილველი საგნები:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ლ იანვრიდგან 1899 წ. 1-ლ იანვრამდის 1900 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლისათვის საგდურის აშენების შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნანი და წვრილმანი საგნები. (3—6.—3)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

ტფილისი, 26 აპრილი.

დღეს ჩვენს გაზეთში ფელეტონად ვბეჭდავთ წერილს პატივცემულის რაფიელ ნიკოლოზის ძის ყაზიბეგისას, რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს. ჩვენის ეროვნულ სიმღერა-გალობის აღდგენის მნიშვნელობა იმდენად ცნობიერად და სავსებით არის გამორკვეული ბ-ნის ყაზიბეგის წერილში, რომ საჭიროდ აღარა ვთვლით ბაასის გაბმას მის შესახებვე, მით უფრო, რომ დარწმუნებულნი ვართ, ყველა ცოტად თუ ბევრად შეგნებული და თვისის ერისა და ეროვნების მოყვარული ქართველი კარგადა ჰგრძნობს საერო სიმღერა-გალობათა აღდგენის ყოვლადს საჭიროებას.

მივაქცევთ რა მკითხველთა ყურადღებას ბ-ნ რაფიელ ყაზიბეგის წერილს „მივეგებნოთ განღვიძებას", საჭიროდ ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ პატივცემულს ავტორს ამა წერილისას, აწ სამსახურისა გამო პეტერბურგში მცხოვრებს, ხელის-მოწერა გაუმართავს იქ ქართულ სიმღერა-გალობისა და საერთოდ მუსიკის აღდგენის საქმის სასარგებლოდ და ჯერ-ჯერობით შეუკრებია 350 მან., რომელიც უკვე წარმოუგზავნია „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის".

# ფელეტონი

### მივეგებნოთ განღვიძებას!

მოვლენანი სამშობლო საზოგადოების ცხოვრებისანი გაზვიადებულნი ეხატების გადახვეწილ, მოშორებულს თავისს აღმზრდელ მიწა-წყალს: მცირედი, ხოლოდ მისთვის სასიამოვნო რაიმე დიდ რასმე შესანიშნავად ეჩვენების მას. მაგრამ აი დიახ სასიამოვნო და უეჭველი ფაქტები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში განიღვიძა საერო მუსიკის სიყვარულმა: „ივერიიდგან" ვცან, რომ ჩვენი სამშობლო სასულიერო (საეკლესიო) გალობა აღდგენილ იქმნა და შეიძლება ხმა წყობილ გუნდით მისი მოსმენა, რომ, გარდა ამისა, გამოცემულ იქმნენ საერო სიმღერათა კრებულნი (ბ-ნნი კარგარეთელი, ჩხიკვაძე) და შეკრებილია დიდ ძალი მასალა ქართულ სიმღერა გალობის კილოთა (ბ-ნი ფ. ქორიძე). ერთის სიტყვით, გაცხარებული მუშაობაა ჩვენ მიერ დაწყებულ და სხვის მიერ არ ცნობილ ქართველთა ერის გენიოსობის-მიერ საუკუნოების განმავლობაში შექმნილ სამუსიკო შემოქმედების შესასწავლად.

ეხლანდელ ჩვენის მწერლობის სიტყვით, ჩვენ სასულიერო (საეკლესიო) საგალობელ კილოთა უკეთესი შედეგი ჰხვდა, ვიდრე საეროს, და ეს არც არის გასაკვირველი: ჩვენმა ეკლესიამ და მისთა მსახურთა ამ საგანშიაც იჩინეს თავი ერთგულ დამცველ დარაჯებად განსაკუთრებით ქართველთ ტომთ კუთვნილ განმახასიეთებელ თვისებისა, როგორნიც იგინი ყოფილან ყოველთვის მრავალ ტანჯულ საქართველოის მძიმე განსაცდელის ჟამსაც-კი. ვგონებ, რომ იმავე სამღვდელოების წყალობით მოაღწია ჩვენამდის საერო მუსიკის ძველ ქართულ კილომაც, და უკეთუ მას შესამჩნევად დაეტყო უცხო ტომთა მუსიკის გავლენა, გაირყვნა იგი თვით ჩვენი საერო წოდების საზოგადოებისაგან არა ბეჯითად დაცვის გამო. და ეს გარემოება უძნელებს, ურთულებს ჩვენის საერო მუსიკის შესწავლას მათ, რომელნიც ამ ჟამად მის შესასწავლებლად მოღვაწეობენ. თანაგრძნობით უნდა მივეგებნოთ ამ მოვლენას და გამოვიკვლიოთ: თუ რა ზომიერება, რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ გავუადვილოთ კეთილად დაბოლოვება ამ დაწყებულ წმინდა საქმესა?

ამის პასუხის მოხსენებას გავბედავ ქვემორე.

ა.

ჩემის აზრით, ქართულ საერო სიმღერების შეკრეფაში შეგნებით გონივრულ დახმარებას უნდა მოველოდეთ უფრო ჩვენ ქართველთა მიერ, ვიდრე სხვა ტომის კაცთაგან. ევროპიელთა აზრი (ხშირად ფრიად განვითარებულთაც) შესახებ ჩვენებურ მუსიკისა—ვის არ მოეხსენება?! ერთობ იგინი, თუ არ ევროპიელ, სხვა გვარ მუსიკას მუსიკად არ სთვლიან, კერძოდ ხომ ჩვენი სიმღერების კილო ვერ გაურჩევიათ ველურ ღმუილიდგან, რომელსაც საერთო არა-რაი აქვს მუსიკასთან. ამ გვარი აზრი განვითარებულ ევროპიელთა დამყარებულია არა მარტო აპარტავნულ მათ მიერ შეუგნებლობაზედ, არამედ სხვა გასამართლებელ და დიახ საბუთიან გარემოებაზედაც.

ყოველი ტომის საერო მუსიკა მისივე იდეალური ენაა.

სამშობლო მუსიკა იმდენად უფრო განშორებული, კილო, ჰანგი, სამშობლო სიმღერა-გალობათა თავისებურია, თავის განსაკუთრებით ფერისაა, და იმდენად უფრო ნაკლებ გაუგებარია უცხო მსმენელთათვის, რაოდენადაც არ არსებობს ნათესაური კავშირი მსმენელის დედა-ენის და იმ ერის ენის შორის, რომელსაც ეკუთვნის იგი მუსიკა. სხვათა ცხლანდელ ცოცხალ ენათა შორის ქართული ენა წარმოადგენს განსაკუთრებით მაგალითს განკერძოებისასა, რომლის გამო სწორედ სინამდვილედ გაგება და ნამეტნავად შეთხზვა ნამდვილ ქართულ კილოზედ დამყარებულ თვალსაჩენ სამუსიკალურო რამესი შეუძლიან მხოლოდ ანუ ნამდვილ, ბუნებრივ ქართველს, ანუ ქართველთა შორის სიყრმითვე აღზრდილს, რომელსაც შეუთვისებია, ზედ-მიწევნით შეუგნია მათი ავ-კარგიანობა, მათი ცხოვრება.

ბ.

მეცნიერ და ფილოსოფოს ჯონრასკინის აზრით, საერო ხელოვნება

მის მიერ წარმოგზავნილს ფულს უძღვის შემდეგის საყურადღებო შინაარსის წერილი:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს.

„წარსულ 1899 წლის „ივერიის“ 244 და 261 №№-ში მოთავსებულ მოწოდებით პატივცემული არტისტი ბ-ნი ფილიმონ ქორიძე იწვევს ქართველთ საზოგადოებას სამშობლო საერო მუსიკის მოყვარულთა წრის შესადგენად და თავისის მხრივ ჰპირდება, რომ იგი წარუდგენს ამ წრეს მსჯავრის დასადებად მისგან ოცის წლის შრომით შეკრებილს, ეჭვი არაა, ძვირფასს მასალას ქართველთა ერის მუსიკალურ ქმნილებისას.

„მე თვალ-ყურს ვადევნებდი იმას, თუ რა შედეგი ექმნებოდა ბ-ნ ქორიძის მოწოდებას და ვპოვე მხოლოდ ერთი საპასუხო: მამა კარბელაშვილმა, ამ ქართველთა სასულიერო დიდების კითხვათა მუდმივმა ყურმახვილმა ჭირისუფალმა, ითავა და შეიტანა ჩვენის საერო მუსიკის საქმისათვის, შეძლებისა და გვარად, თავისი მცირე წვლილი.

„რად უნდა დარჩეს უყურადღებოდ მუსიკის შესწავლა-აღდგენისათვის ახლად გაღვიძებული სურვილი, როდესაც ეროვნულ მუსიკას მეტად თვალსაჩინო ალაგი უჭირავს კულტურისა და ერთა განათლების საქმეში.

„გამანადგურებელ გარემოებათა ძალის ქვეშ და ჟამთა ვითარებისა გამო ჩვენი ეროვნული სიმღერა-გალობა ახლოა სრულიად გაქრობა-აღგვასთან და რომ მეც, შეძლებისამებრ, მერგო რამ, გავმართე ჩემს მეგობართა და ნაცნობთა შორის ხელის-მოწერა ჩვენი საერო კილოების შესწავლისა და დაცვის სასარგებლოდ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ საგნად გაიხადა ქართველთა აღზრდა მარტო წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებით-კი არა, მისის ეროვნულის შემოქმედების ძვირფას საუნჯეთა დაცვა-შენახვითაც. ხმის გამო ნებას ვაძლევ ჩემს თავს წარვუდგინო ამა საზოგადოების კომიტეტს, მისს სრულ განკარგულებაში, აქ აღნიშნულ საქმისათვის ჩემგან ხელის-მოწერით შეგროვილი სამას ორმოცდა-ათი მანეთი (350 მ.)

„ჩემი პირადი შეხედულება ამ საქმეზედ, რომელსაც სავალდებულოდ არ ვუხდი კომიტეტს, მე გამოვხატე ცალკე წერილში: „მივეგებოთ გაღვიძებას“, რომელსაც ამასთანავე ვუგზავნი გაზეთ „ივერიის“ რედაქციას იმ იმედით, რომ იგი დაუბრკოლებლად დაიბეჭდება.

„დასასრულ, ჩემთვის სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი აღვნიშნო გულმხურვალე მონაწილეობა და დახმარება ამ საქმეში დიდად პატივცემულ ქ-ნის ელენე მიხეილის ასულის ქავთარაძისა. ხელის მოწერა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ფულიც ჯერ ყველა შემომწირველთაგან არაა მიღებული. შემომწირველთა სიას წარვუდგენ კომიტეტს ხელის-მოწერის დასრულების შემდეგ.

რაფიელ ნიკოლოზის ძე ყაზიბეგი

ს.-პეტერბურგი
29 მარტს 1900 წ.

სიამოვნებით ავღნიშნავთ რა ამ ამბავს, ვისურვებთ, რომ ბ-ნის რაფიელ ყაზიბეგის ყოვლად ღირსეულსა და თავისის ეროვნების სიყვარულით გამოწვეულ მოქმედების მაგალითს მრავალი მიმბაძველი გამოსჩენოდეს.

ფარნაოზი

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: დერბენტის მე-145 ქვეითა რაზმის პოლკოვნიკი ჩიკოიძე კავკასიის მე-6 მსროლელ ბატალიონის უფროსად.

## ახალი ამბავი

*** რამდენიმე წელიწადია, რაც არსად აღარ მოიპოვება გასასყიდად ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა. მოთხოვნილება-კი დიდია საზოგადოებაში ხსენებულის წიგნისა. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ერთ-ერთ თავისს კრებაზედ გადაუწყვეტია დაბეჭვდა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულის ლექსიკონისა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას.

*** 25 აპრილს ტფილისიდგან ჯულფაში წავიდა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი პ. ი. კოჟინი, რომელმაც საფოსტო გზატკეცილი უნდა დაათვალიეროს აქსტაფიდგან მოყოლებული ჯულფამდინ, რომელზედაც მაისის შუა რიცხვებამდინ უნდა გამოიაროს სპარსეთის შაჰმა მუზაფერ-ედინმა თავისის მოგზაურობის დროს სპარსეთიდგან ევროპაში. ხსენებულს გზაზედ უნდა გაიგზავნოს მაისის პირველ რიცხვებში კავკავისა, ახალციხისა, აბასთუმნისა და სხვა გზებიდგან საკმაო რიცხვი ცხენებისა, ასე რომ 6 მაისამდე 2000 მდე ცხენი უნდა მოგროვდეს იქ. ეს ცხენები განაწილებულ იქმნებიან საფოსტო სადგურებზე ჯულფიდგან მოყოლებული რკინის გზის სადგურ აქსტაფამდინ, სადაც 9 მაისს გაიგზავნება ტფილისიდგან განსაკუთრებული მატარებელი სამეფო ვაგონებით. მაისის პირველ რიცხვებში ჯულფას აპირებს წასვლას ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ-ნი ლინდენი.

*** მიმდინარე წლის სექტემბერში ტფილისში უნდა დაარსდეს საკომერციო სასწავლებელი. სამშაბათს, 25 აპრილს, ამ სასწავლებელში შემსვლელნი გამოსცადეს. სულ 301 მთხოვნელი იყო, რომელთაგან მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში—81, უფროსს განყოფილებაში—121 და პირველ კლასში—99.

სასწავლებლის დირექტორმა ბ-ნმა მ. ო. ფიშერმა განაცხადა, რომ მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში შესვლის მთხოვნელნი ყველანი მიღებულ არიანო, და დანარჩენთა გამოცდას შეუდგა.

მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებაში შესვლის მთხოვნელნი არიან: მართლმადიდებელი—19, სომეხ-გრიგორიანი—84, მაჰმადიანი—2, ლიუტერანი—2, ებრაელი—5 და სხვა სარწმუნოებისანი—9; პირველს კლასში: მართლმადიდებელი—9, სომეხ-გრიგორიანი—72, ლიუტერანი—2, მაჰმადიან—1, ებრაელი—4, და სხვა სარწმუნოებისანი—11.

*** 25 აპრილს განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა სახელმწიფო თეატრი, რომელშიაც ელექტრონით განათების საქმე უკეთ უნდა მოაწყონ.

*** თავ. შიხი ტუსიევისა, ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც დავით გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ, გაირჩევა ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის მე-2 დეპარტამენტში 31 მაისს.

*** იმ საზოგადოებას, რომელსაც აზრად აქვს რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლების მსურველთ ხელი შეუწყოს, კრება ჰქონდა 23 აპრილს. საზოგადოების ხაზინადარმა ვ. ი. ბოგუსლავსკიმ კრებას წარუდგინა ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1900 წლის 1 იანვრამდე შემოსულა 3,336 მან. 42 კაპ., მიმდინარე წლის 1 აპრილამდე შემოსულა 1,550 მან. 46 კაპ.; ამავე დროს განმავლობაში დახარჯულა 1,071 მან. 45 კაპ., სათადარიგო თანხად ჰქონია საზოგადოებას 1,795 მან. 05 კაპ. და 11 მან. 40 კაპ. ნაღდათ. ამასთანავე კრებას აუწყა ბ-ნმა ბოგუსლავსკიმ, რომ საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად იანვარში წერილები გავჰგზავნეთ რუსეთის ყველა კუთხეში და ვსთხოვეთ მცხოვრებთ შემწეობა აღმოუჩინონ საზოგადოებას ანუ წევრებად ჩაეწერონო. შემოწირულებას გარდა, 92 კაცმა განაცხადა წევრობის სურვილიო. თავმჯდომარემ აუწყო კრებას, რომ მოსკოვის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა, რომელიც საზოგადოების საპატიო წევრია, 50 მან. გამოჰგზავნა საზოგადოების თანხის გასაძლიერებლადო, და სთხოვა კრებას წერილობით მადლობა გადავუხადოთ მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობასო, ხოლო ბ-ნს ველიჩკოს, რომელიც აქვეა კრებაზედ, და რომელმაც პირველი სესხის მომგებიანი ბილეთი შემოსწირა საზოგადოებას, ეხლავე გადავუხადოთ მადლობაო. ორივე წინადადება შეწყნარებულ იქმნა კრების მიერ.

*** რადგან ტფილისის ყასბები დაწესებულ ნიხრზე ისევ 2—3 კაპეიკით უფრო ძვირად ჰყიდიან გირვანქა ხორცს, ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს მიუწერია ყველა ბოქაულებისათვის, რომ დაავალეთ პოლიციის მოხელეებს გულმოდგინედ ადევნონ თვალ-ყური, რათა ყასბები ნიხრის მიხედვით ჰყიდდნენ ხორცსაო და თუ რომელიმე ვაჭარმა ნიხრი დაარღვიოს, ოქმი შეუდგინონ და პასუხის გებაში მისცენო. ამასთანავე პოლიციის მოხელეთ დავალებული აქვთ გამოუცხადონ ტფილისის მცხოვრებთ, რომ, როცა შეამჩნევენ, რომ ვაჭრები ნიხრზედ უფრო ძვირად ჰყიდიან ხორცს, გამოუცხადონ პოლიციას, რათა დამნაშავე პასუხის გებაში იქმნას მიცემული.

*** როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის ანგარიშიდგანა სჩანს, შარშან რკინის გზით წაუღიათ სულ 1.065,000 მან. ბამბა, მაშინ როდესაც შარშანდლამდის საშუალო რიცხვით გაჰქონდათ 2,595,000 მანეთისა, ე. ი. 1.530,000 მან. მეტი, ვიდრე შარშან. აქედგან ცხადია, რომ კავკასიაში ბამბის მოსავალს დაუკლია შარშან.

*** ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების ანგარიში გვიჩვენებს, რომ 1899 წელს ხსენებულ საზოგადოებაში დაუზღვევიათ 982 შენობა, 16.300,000 მან. დაფასებული. საზოგადოებას შემოსვლია სულ 33,000 მან., რომელთაგან წმინდა შემოსავალი უდრის 25,000 მანეთს. საზოგადოების სათადარიგო თანხა ამ ჟამად შეადგენს 110,000 მან. საანგარიშო წელს 17 დაზღვეული შენობა დაზიანებულა ცეცხლისაგან, რომელთა პატრონებისათვის მიუცია საზოგადოებას 1,516 მ.

*** ქუთაისის ქალაქის საბჭოს ერთს ხმოსანს, როგორც „ტფილ. ფურც.“ იუწყება, წინადადება შეუტანია საბჭოში, რომ ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასა დავაარსოთო.

*** დ. საჩხერე. ჩვენსკენ ეხლა გაცხარებული სიმინდის თესვა. ერთი თვე იქნება, რაც აქეთკენ დიდი წვიმა არა ყოფილა, ამას გამო შირეულად დახნული მიწები ისეა გამაგრებული, რომ თესვის საქმეს აფერხებს. აპრილის 20 რიცხვებში ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ გარეშემო მთები კიდეც ჩამოთოვა. ჭყიპილები გაჩანაგდა წამოსული, ასე რომ თუ ამინდები დაუსწრო, მოსავალს კარგს მოველით. დ. საჩხერე ზოგიერთ გაყაბატონებს საჩხუბარ მოედნად გაუხდიათ. ჭიათურაში ორს გროშს იშოვიან, ამოცდენ აქ და სა-

(მათ შორის მუსიკაც) ყოველთვის არის მაჩვენებელი მისი ზნეობითი სიმაღლისა და თუ ეს ასეა, ჩვენ უნდა ვერიდოთ არა სინათლეს, რომელიც უნდა მოეფინოს ჩვენ საერო მუსიკასა, არამედ მის ჭეშმარიტ კილოთა გარყვნასა, დამახინჯებასა.

ჩვენ საზოგადოებაში გაღვიძებული სურვილი და მისწრაფება საერო მუსიკისადმი, აგრეთვე გამოცემა საერო სასიმღერო კრებულთა—ერთად ერთი თავდებია მისი, რომ ჩვენი მამა-პაპური სიმღერა-გალობათა კილონი წესიერად აღდგენილ იქმნებიან. ამ საგანთან მისაღწევი ნამდვილი გზა ნაპოვნია, რადგანაც სამშობლო ხმების შესწავლას შევუდექით ჩვენ თვით ხალხისგანვე გარდმოცემით სიმღერით, თუ სიტყვით,—პირდაპირ ცხოველ წყაროდგან. და ვიდრე ამგვარად არ შევისწავლით ჩვენ სამშობლო-საერო ხმებს, მათ კილოს, უკუ უნდა ვაგდოთ ცდა და სურვილი იმ გვარი ქართულ ხმების შეთხზვა და გამოცემა, როგორებიც დღეს, დრო გამოშვებით, გამოდის ჩვენში. უწინარეს ყოველგვარ საქმის შედგომისა უნდა შევისწავლოთ იგი, ვინაიდგან სახლი შენდების საძირკვლიდგან და არა ერდოდგან.

წესიერად სიმღერა-გალობათა კრებულის შემდგენს, სხვათა შორის, უნდა მინიჭებული ჰქონდეს შემდეგი ორი თვისება:

ა, მას უნდა ჰქონდეს ნიჭი, უნარი—გარჩევისა, მიხვედრისა—თუ რა არის სიმღერა-გალობაში ნამდვილი ეროვნული და არა უცხოდგან შემოტანილი, ნასესხი. დიდი შეცდომა იქმნება, რომ კრებულში მოქცეული იყოს ერთ ერთი ჩვენთვის უცხო კილო იმ „მრავალ ჟამიერებისა“, რომელნიც იმღერების დიდ და პატარასაკან და გაისმის როგორც ჩვენ დედა-ქალაქში, აგრეთვე ჩვენის სამშობლოს სხვა-და-სხვა მიყრუებულ კუთხეში, და იმავე დროს გამოტოვებული იყოს კახურ კილოზედ „მრავალ-ჟამიერ“, სავსე განსაკუთრებით ქართულ მელოდიით და გრძნობითა.

და ბ, კრებულის შემდგენელს უნდა ჰქონდეს ხმის ჩამწერლობის ნიჭი. ფაქტებით დავრწმუნდი, რომ გაგონილის ხმის (ჰანგის) აღდგენისათვის ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია. შედარებით სიმღერა გალობის ტექსტისა და მისი ხმის (კილოსი, ჰანგის) ჩაწერვის შორის არავითარი მგზავსება არ არსებობს თურმე, რადგანაც პირველისთვის საკმარისია მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა, როდესაც ამ უკანასკნელისთვის ნოტებზედ ხმის (კილოს ჰანგის) სინამდვილით გადმოღება ბევრს კონსერვატორიაში კურს დამთავრებულსაც-კი გაუჭირდება. როგორც ეტყობა ნოტებზედ ხმის შეუცდომლად გარდამცემელი უნდა იყოს აღჭურვილი განსაკუთრებითი ნიჭით, რომელიც განირჩევის, განსხვავდების მგოსნისა, სამუსიკო მთხზველისა და მასწავლებლის ნიჭისგან, და იმავე დროს მას უნდა ჰქონდეს მინიჭებული სამუსიკო მთხზველის (კომპოზიტორის) შემოქმედებითი ნიჭი და იგი იმოდენად უფრო ნაყოფიერია, რამდენადაც უფრო უხვად დაჯილდოვებულია შეთხზვისა და მუსიკალურ ფორმით გამოთქმა-გამოხატვის ნიჭით.

ამ გვარად საერო ხმების შეუცდომლად ჩაწერა და კრებულად გამოცემა ზემოხსენებულთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით ისეთივე ძნელი და პატივსაცემი საქმე ყოფილა, როგორც მუსიკალურ ნაწერების ახლად შეთხზვა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში გარეშე შემწეობა ადვილად შესაძლებელია და შედეგი მისი უფრო ნაყოფიერია და სასურველია, ვიდრე უკანასკნელში.

საერო ხმების განხილულ და გამოცემულ კრებულთ აქვთ მნიშვნელობა არა მარტო მუსიკალურის, არამედ მეცნიერულის მხრივაც. ამ უკანასკნელ ჟამს რუსეთში სამეცნიერო რუსეთის აკადემიისა, საიმპერატორო-საგეოგრაფიო საზოგადოებისა და რაოდენსამე მეცნიერთა მეთაურობით გამოცემულ იქმნა მრავალი ხალხური (საერო) სიმღერანი. საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებაში არსებობს კომისიაც-კი, რომელსაც მინდობილი აქვს განსაკუთრებლივ შესწავლა, ტომ განურჩევლად, რუსეთში მცხოვრებთ ხალხთა სიმღერებისა. იგი საზოგადოება ყოველ წელიწადს ჰგზავნის ხმების ჩამწერავებს სხვა-და-სხვა მიყრუებულ კუთხეებში, გულით და სულით წინ ეგებება და ხელს უმართავს ხან ფულით და ხან ზნეობრიულ ყურადღებით კერძო კაცთ, რომელნიც-კი ამ საქმეს სწირვენ დროსა და გამოცდილებას. სხვათა შორის შარშან ერთმა მანდილოსანმა წარუდგინა საზოგადოებას მოხსენება და სხდომის დროს ამღერა ფონოგრაფი და ესრეთის საშუალებით გადასცა მსმენელთ მის მიერვე იმავე ფონოგრაფით შეკრეფილი კილონი სახალხო სიმღერათა.

საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების გარდა სახალხო ხმების შესწავლებას სწირავს დროს აგრეთვე ერთი კერძო წრე, შეყრილი პეტერბურგში განსვენებულის სახელმწიფო კონტროლიორის ტ. ი. ფილიპოვის მიერ, რომელიც თვის თანამედროვეთა მწერალთა შორის ითვლებოდა რუსულ ენის ერთ-ერთ ზედმიწევნით მცოდნეთაგან.

როგორც ზემოდ მოვიხსენიე, რუსებმა უყურადღებოდ არ დასტოვეს რუსეთში მცხოვრებთა არა სლავიანურ ტომის ხალხთა მუსიკაც. ამის მაგალითს წარმოადგენს ძვირფასი ღვაწლი ეტნოგრაფოსის რიბაკოვისა, რომელმაც 1897 წ. გამოსცა წიგნი შემდეგის სათაურით: „ურალეთის მაჰმადიანთა მუსიკა და სიმღერანი“. ამ წიგნში მოქცეულია ასსზედ მეტი თათრული, ბაშკირული და სხ. საერო ხმანი (კილონი). ამ წლის მარტის პირველ რიცხვებში ბ-ნმა რიბაკოვმა საჯაროდ პეტერბურგის კონსერვატორიის დარბაზში, დიდძალ მსმენელთა თანადასწრებით, წაიკითხა ლექცია: „შუა აზიის ხალხთა მუსიკალურ ქმნილებისა შესახებ“. ბ-ნ რიბაკოვის ამ ლექციის მასალას

მაკიტნოებში ერთი უერილი და დავიდარაბა აქვთ, განსაკუთრებით გვირაუქმე დღეებში. ამ თვის 13 ს დამთვრალიყვნენ ვიდაცაები, და საღამოზედ ერთმანეთს დარეოდნენ ხანჯლებით. მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლით ს. ჩიხის მდხოვრები ს. მაჭავარიანი და ბოსლევისა—აბაშიძე. დიდს შაბათს, ერთს მოქეიფეს სანამ ვირის აბანოში თავი არ ამოაყოფინეს, არ დაწყნარდა.

*** წყლის განსაცდელისაგან მხსნელ საზოგადოების პირველი საზოგადო კრება რადგან არ შესდგა წევრთა განონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ ეს კრება მეორედ არის დანიშნული 30 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, საგუბერნიო სამართველოში.

*** გამოვიდა მესამე (მარტის) ნომერი ჟურნალის „მოამბისა“. შინაარსი ამ ნომრისა: 1, წარსულიდან.—საშუალო სასწავლებელში.—ნაწილი მესამე. —XVII—XXVI. მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. (დასასრული); 2, *** ლექსი (ჰეინედან); 3, ქამუშაძის გაჭირვება.—VI—VIII. მოთხრობა დავით კლდიაშვილისა, 4, ბედნიერება მხოლოდ მაშინ ვიგრძენ! ამბავი შ. არაგვისპირელისა; 5, კეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები.—LXVII—ალ. ს—შვილისა; 6, ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურს სტამბაში. —ალ. ხახანაშვილისა; 7, ბატონ-ყმობა სამეგრელოში.—გ. ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს—სი; 8, კავკასიაში სწავლა-განათლების მდგომარეობა 1898 წ. ნ. ჟანაშიასი. ქრონიკა: 9, შინაური მიმოხილვა.—საზოგადო კრებათა სეზონი.—თავად-აზნაურთა კრება.—ორიოდე სიტყვა თავად-აზნაურობისა და წოდებრივ დაწესებულებათა მნიშვნელობის შესახებ.—საზოგადო საჭიროებათა შესახებ შუამდგომლობა.—სათავად-აზნაურო მამულის გადაკეთება და გამგეობა.—თავად-აზნაურთა ახალგაზდობა.—საშვილიშვილო საქმე.—სამეურნეო ბანკის წევრთა კრება.—ამ ბანკის ზრდა-განვითარება.—რა იმედები ვერ გაამართლა მან?—მმართველების შეცვლის საჭიროება.—ერთი კითხვა თავად-აზნაურთა ბანკის მომავალ კრებაზე.—მიზეზები დამხმარებელ საზოგადოებათა დაქვეითებისა.—დახმარების აღმოჩენის საჭიროება.—კიდევ რამდენიმე სიტყვა „კვალს“ და მის სულის ჩამდგმელს.—დალისა; 10, უცხოეთის მიმოხილვა.—ინგლის-ტრანსვაალის ომი.—რუსეთის დიპლომატიის გამარჯვება სპარსეთში. —გერმანიის გაძლიერება მცირე აზიაში.—მსოფლიო გამოფენა პარიზში.—გერმანიის შინაური საქმეები.—ჰეინცეს კანონი.—დალისა.

*** „ტფილ. ფურც.“-ის სიტყვით, ტფილისისა და ყაზახის მაზრების საზღვრებზედ დანავარდობს ავაზაკთა ბრბო, რომელიც შეუდგენია ციმბირიდგან გამოქცეულს ქერმამედს. ყარაიაზისა და სალაოღლის ბოქაულებს რამდენჯერმე მოუწადინებიათ ამ ბრბოს შეპყრობა, მაგრამ ვერა გაუწყიათ რა. ამ დღეებშიაც ყაზახის მაზრის უფროსი და იგივე ბოქაულები ჩაფრების რაზმით მისდგომიან შიხლინის ტყეს, საცა ბრბო იმალებოდა,მაგრამ ამ ცდასაც ტყუილად ჩაუვლია.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

26 აპრილი

გუშინ, 26 აპრილს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის სადგომში დაიწყო ამ ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება. კრება დაიწყო დილის $11^1/_2$ საათზედ. საზოგადო კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი.

ვიდრე ბანკის ანგარიშის კითხვას შეუდგებოდნენ, რწმუნებულმა ამირალოვმა გამოაცხადა, რომ ანგარიში და მოხსენებანი თავის დროზედ არ დაგვირიგეს, ამიტომ შეძლება არა გვქონდა, კარგად გაგვეცნო შინაარსი და ისე მოვსულიყავით კრებაზედაო. შარშანდელმა საზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს, რომ ანგარიში წინდაწინვე შეადგინონ და ორის კვირით ადრე დაურიგონ რწმუნებულთაო.

უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი. ანგარიში ადრე იყო მზად, მაგრამ დაბეჭვდა მოუნდა, ახლა შეცდომების შესწორება და ამაში დრო გავიდა. გარდა ამისა ჩვენს ბანკს სხვა და სხვა თანხა აქვს, რომელთა გამო საქმეები ამ ბოლოს დრომდე იყო და ვიდრე არ გათავდებოდა, დაბეჭდვა შეუძლებელი იყო.

თავ. ვ. ს. მიქელაძე. არიან ასეთი ბანკები, რომელთაც მარტო რუსეთთან კი არა, ამერიკასთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთანა აქვთ საქმე. ასეთმა ბანკებმა უკვე დაბეჭდეს ანგარიშები და ტფილისშიაც მივიღეთ. ჩვენმა ბანკმა-კი, რომელსაც ნაკლები საქმეები აქვს, ადრე ვერ მოასწრო. ანგარიშის ადრე დაბეჭდვას დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა რწმუნებულთ გაიცნონ იგი, აწონდაწონონ და ისე მოვიდნენ კრებაზედ. ამიტომ დაგვიანება ანგარიშისა გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს არ ეპატიება.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძე. იმ ბანკებს, რომელნიც თავ. მიქელაძემ მოიხსენია, ერთი ორგანო აქვთ—გამგეობა. გამგეობა ახდენს ანგარიშებს და მაშინვე ჰბეჭდავს. ჩვენ-კი ზედამხედველი კომიტეტიცა გვყავს, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს. ანგარიში ადრე იყო მზად და 13 მარტს უკვე წარედგინა ზედამხედველ კომიტეტს. სანამ ზედამხედველი კომიტეტი განიხილავდა, დრო გავიდა და ამიტომ დაგვიანდა.

შემდეგ ზოგიერთ რწმუნებულთ მოითხოვეს, რადგანაც ანგარიში ვერ გავიცანით კარგად, კრება ხვალამდე გადაიდოსო. ამის გამო თავმჯდომარე შეეკითხა კრებას და უმრავლესობამ საჭიროდ სცნო დღესვე შეუდნენ განხილვას.

შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება ბანკის 1899 წლის მოქმედების შესახებ.

როგორც ამ მოხსენებიდგანა სჩანს, ბანკს საანგარიშო წელს 471 სესხი გაუცია სულ 4,013,990 მანეთისა.

აქედგან გირავნობის ფურცლებით დიდ ვადიანი სესხი გაუცია: 60 სოფლის მამულებზედ, 818,800 მანეთისა, 308 ქალაქის მამულებზედ, 2,935,700 მანეთისა; მცირე ვადიანი სესხი ნაღდ ფულად გაუცია: 44 სოფლის მამულებზედ 55,690 მანეთისა, 59 ქალაქის მამულებზედ, 203,800 მანეთისა.

საერთო შემოსავალი საანგარიშო წელს ბანკს ჰქონია 310,395 მან. 51 კაპ., ამ ფულიდგან გადაუხდია:

1, ვადამდე გარდასახდელი შესატანი იმ მამულებისა, რომელიც ბანკს დარჩენია—11,445 მ. 44 კაპ.

2, დაუფარავს ბაქოს საავენტოს ზარალი—20,482 მ., 78 კ.

3, ბანკის მოსაწყობ-მომართვის ხარჯის 10%—865 მ., 13 კ.

4, ბანკის მართვა გამგეობაზედ დაჰხარჯვია—67,651 მ. 25 კ. 5, სამრეწველო გარდასახადი ძირის თანხისა და წმინდა მოგებისა—6,125 მან. 7 კაპ. სულ 106,569 მ. 67 კ. ამ გვარად წმინდა მოგება დარჩენია 203,825 მ. 84 კაპ.

გამგეობის მოხსენებაში ამას გარდა ნაჩვენებია ისიც, თუ რამდენი მამული გადააგირავეს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, უფრო-კი ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში, სათავად-აზნაურო ბანკიდგან. როგორცა სჩანს, ბევრად მეტი გადასულა სათავად-აზნაურო ბანკიდგან, ვიდრე სხვა ბანკებიდგან გადმოსულა. ზოგიერთმა რწმუნებულმა მოისურვა ამის მიზეზის გაგება.

გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ სთქვა, რომ მიზეზი ის უპირატესობაა, რომელიც ქალაქის საკრედიტო დაწესებულებათა აქვთ წესდებით მინიჭებული და ჩვენ ბანკს-კი არა აქვს. ნება აქვთ, მაგალითად, იქონიონ წინდაწინვე ერთის წლის გირავნობის ფურცლები, ჩვენ-კი ასეთი ნება არა გვაქვს. ამას გარდა იმათ დაუბრკოლებლად შეუძლიანთ სესხის გაცემა, ჩვენ-კი ყოველთვის სამინისტროს უნდა მივმართოთ. სხვა მრავალი უპირატესობაცა აქვს. აი ეს არის მიზეზი მამულების გადასვლისა. შეიძლება სთქვას ვინმემ, რომ შუამდგომლობა აღძარით და თქვენც მოიპოვეთ ისეთი უფლებანი, როგორიც საქალაქო საკრედიტო დაწესებულებათა აქვთო. ეხლა აღარ გვაძლევენ ამ უფლებებს; პირიქით ჰფიქრობენ, რომ ამ საკრედიტო დაწესებულებათაც ჩამოართვან.

ამის შემდეგ კრებამ მთელი სხდომა თავ. ვ. ს. მიქელაძის მიერ აღძრულ საგანს მოანდომა. ეს საგანი შეეხება იმ თანხას, რომელიც მოკლე-ვადიან სესხის ოპერაციაში უნდა ტრიალებდეს (общеполезный капиталъ). ამ საგანმა მეტად ცხარე კამათი გამოიწვია, რომლის შესახებაც ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

შემდეგი კრება დღეს, 27 აპრილს, იქმნება.

## დაბაკვერდა

კარგი დასაწყისი—ნახევარია საქმისა.

არისტოტელი

***

ჭეშმარიტი კაეკაცობა—სიფრთხილეა.

ევრიპიდი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

„Mainzer Anzeiger“-ში მარკ ტვენის შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „თქვენმა თხოვნამ იმის შესახებ, რომ ჩემის მცირედის წვლილით გუტტენბერგის იუბილეში მონაწილეობა მივიღო, დიდად მასიამოვნა, რადგანაც გუტტენბერგის აღმოჩენაზედ უდიდესი სხვა აღარ არის დედამიწის ზურგზედ; ეს დაამტკიცა მსოფლიო ისტორიამაც. მაგრამ თუ ერთის მხრივ ამ აღმოჩენამ უცხო და მშვენიერი ქვეყანა შეჰქმნა და გადმოგვიშლაცა, სამაგიეროდ ჯოჯოხეთიც თან მოაყოლა, ესეც თქვენაო.

მთელის ხუთის საუკუნის განმავლობაში ეს ახალი ქვეყანა გუტტენბერგის აღმოჩენამ ნელ-ნელა ახალის საოცრებებითა და საოცარებით შეამკო. დედამიწაზედ უძლურად მოწრწიალე ჭეშმარიტებას ამ აღმოჩენამ შთაჰბერა ძლიერი სული; მაგრამ ამავე დროს თავი იჩინა სიცრუემ და ამ აღმოჩენამ მასაც ორნაირი ფრთები შეასხა. შევიწროვებულსა და სადღაც კუნჭულებში მიჩქმალულ-მიმალულს მეცნიერებას ხმელი, ზღვა და უსაზღვრო ცის სივრცე გადაუშალა და მთელის კაცობრიობის მისწრაფებათა საგნად გახადა. გამრავლდნენ და განვითარდნენ ხელოვნება და სხვა-და-სხვა გვარი ხელობანი. ამ რიგად დევნილი და ყველასაგან მოძულებული გუტტენბერგი მთელის დედამიწის ზურგისა მფლობელად შეიქმნა და უდიდეს აღმომჩენლად იქმნა აღიარებული. ყოვლის შემ-

---

შეადგინდა სიმღერანი, რომელნიც მან თავის უკანასკნელ ეტნოგრაფიულ მოგზაურობის დროს, ფონოგრაფის შემწეობით, შეჰკრიბა თურქმენში, ახხაბადში, მერვში, ავღანისტანში, ბუხარაში, სამარყანდში და ტაშკენტში, აგრეთვე რომელნიც მან მოისმინა არაბებისა და ინდოელებისაგან. ვისაც ჰსურს ამ ფრიად საყურადღებო ლექციის უფრო დაწვრილებით გაცნობა, მას ვურჩევ, წაიკითხოს გაზეთ „Новое Время“ ს 8629 № (წლევანდელი 6 მარტის №) ფელეტონი. აქ-კი საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ, როგორც ამ ფელეტონიდგანა სჩანს, ცნობილმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა ბ-ნმა ივანოვმა, გაიგონა და გაიცნო რა ამ ლექციაზედ აზიელთა მუსიკალური მელოდიები, უარი ჰყო გერმანიელ და ინგლისელ მუსიკალურ ისტორიკოსთაგან ჩაგონებული და შეთვისებული აზრი „აღმოსავლეთ ხალხთა მუსიკის სრულად განკერძოებაზედ“.

დასასრულ ფელეტონში კრიტიკოსი ამბობს: „ბ-ნ რიბნიკოვის მიერ შეკრებილი ფონოგრამმები, რომელიც მან უძღვნა პეტერბურგის კონსერვატორიასა, ამ ჟამად უნდა ჩაითვალოს ძვირფას განძად ამ სასწავლებლის წიგნთ-საცავში. უკეთუ ჩვენ მუსიკალურ სწავლულთა შორის, რომელნიც მეცადინეობენ შესწავლასა საერო ხმების და მუსიკალურ ეტნოგრაფიისას, მოიპოვებიან ისეთნი, რმელთაც სურთ შეისწავლონ ბ-ნ რიბაკოვის მიერ შეკრებილი მასალა, ეჭვი არ არის, იგინი არ ინანებენ: მათ ისეთი მტკიცე განაჩენები და საბუთიანი წერილები ეჭირებათ ხელში, რომელთაც ცალს დაეძებენ ზოლას მიმართულების მიმდევნი ნატურალურ სკოლის მწერალნი“. თუმცა, რა თქმა უნდა პატივისცემით ვეგებებით ყოველს, რიბაკოვისავით, უცხო ხალხის მუსიკის შემსწავლებელს, მაგრამ მაინც და მაინც ვერ შემიძლიან უარვყო ჩემ მიერ ზემო გამოთქმული აზრი: შემკრებელი და ჩამწერი რომელისამე ერის სიმღერ-გალობის კილოთა არ უნდა იყოს უცხო სულ-ხორც-სისხლით და ენით იმ ერისა. თუმცა ფონოგრაფმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა ჩამწერავთ, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ფონოგრაფი მაინც და მაინც უსულო მანქანაა და, ამას გარდა, არა სრული, არა უნაკლულო, რომელსაც, ცოცხალ ადამიანსავით, არა აქვს მინიჭებული თვისება გარჩევისა, მიხვედრა—თუ სადა თავდება ნიჭიერების ნამდვილი ქმნილება ხალხისა და სად იწყება მისი გარყვნა, დამახინჯება.

დ.

ამ ჩვენ მიერ გამოთქმულ აზრიდგან სახალხო მუსიკის მნიშვნელობისა და იმ პირობათა შესახებ, რომელნიც, ჩვენის აზრით, საჭიროა მის შესასწავლად, ის გარდაწყვეტილი დასკვნა გამომყავს, რომ ამ საქმის განხორციელებისათვის საკმარისი არ არის მარტო ცალკე, კერძო კაცთა მეცადინეობა, არამედ ამასთანავე ყოვლად საჭიროა საზოგადოების მხრივ მეთაურობა და წესიერი დახმარება.

რა ნაირს შემწეობას უნდა მოველოდეთ საზოგადოების მხრივ სახალხო ხმების შესაკრებადა და გამოსაცემად?

ჩემის აზრით, ეს საქმე დიდ ნივთიერ (ფულად) დახმარებას ბევრს არას მოითხოვს. ნოტების გამოცემა ერთობ იაფად ჯდება და ხმების (კილოთა) ჩამწერავსაც მოგზაურობის დროს ხარჯი არა დასჭირდება რა, რადგანაც მამა-პაპური სტუმართ-მოყვარეობა ქართველთა შორის ჯერ, ღვთით, სრულიად არ გადავარდნილა. ერთი წილი მოხსენებულის ხარჯისა შეიძლება დაიფაროს ნოტების გასყიდვით, მეორე საზოგადოების მიერ შეკრებილ ფულის დახმარებით, უკეთუ ეს საქმე ითავა რომელმამე ჩვენმა საზოგადო დაწესებულებამვე, ხოლო, ჩემის ფიქრით, ეს დიდად საყურადღებო საქმე უნდა იკისროს „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“, რადგანაც, ჯერ ერთი—მან თავისის ნაყოფიერ და ხანგრძლივის მოქმედებით დიახ ღირსეულად დაიმსახურა საზოგადოებისგან დიდი პატივი, ვითარცა ქართველთა წარმატებისთვის მზრუნველმა, და მეორე, მისთვის, რომ თავისის ხანგრძლივის მოღვაწეობის დროს მას შემთხვევა ჰქონდა გაეცნო ჩვენი ერი, მისი ავ-კარგიანობა, და ამის გამო იგი უფრო ადვილად, ვიდრე სხვა ჩვენთაგანი ვინმე, შეიძლებს მიიპყროს თავის მხარეს ამ კეთილ საქმისათვის ღირსეულნი და გამოსადეგნი კაცნი. განმანათლებელ საგნადაც რო არ ჩაითვალოს მუსიკა, შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ადამიანი ჰგრძნობდეს თავისის ხალხის გრძნობით, უფეთქდეს სამშობლოსთვის ჭეშმარიტის სიყვარულით გული, და თვისის ერის მუსიკა-კი თავისის ყურადღების ღირსად არ მიაჩნდეს!.. ერთ ერთ ნიშნად სამშობლო სიყვარულისა და შეგნებისა მისთა შვილთა მიერ უნდა ჩაითვალოს ზრუნვა საერო სამშობლო მუსიკის შესწავლა-აღდგენისათვის. და მთელი ძალ-ღონეც „წერა კითხვის გამავრცელებულ საზოგადოებისა“ ამ სამშობლოს სიყვარულშია! ამის გამო და ეგრეთვე იმისა, რომ ჩვენ შორის ჯერ-ჯერობით კიდევ მოიპოვებიან ნამდვილნი მამულიშვილნი—მოღვაწენი, მე ვფიქრობ, რომ ზემოხსენებულის „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ ვალია ითავოს ამ საგნისთვის მცოდნე და საჭირო კაცთა მოწვევა, შეადგინოს მათგან გუნდი, რომელსაც დაავალოს შემუშავება ეკსკურსიების გეგმისა, გამოძებნა ამისათვის საჭირო საშუალებათა და სასტიკად განხილვა მასალისა ასაცილებლად გარყვნილობისა და შეცდომებისა ჩვენი სამშობლო სასულიერო და საერო სიმღერა გალობის კილოებისა.

რაფიელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი

პეტერბურგი.

ძლე სარწმუნოება, რომელიც ერთად-ერთ მბრძანებლადა და მფლობელად იყო მიღებული იმ დრომდის, ახლა ადამიანის კეთილის მყოფელადა და მეგობრად შეიქმნა. ათავისუფლა ერნი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ძლიერთა მონებად აქცია; თუ რომ ერთის მხრივ გუტტენბერგის აღმოჩენა ადამიანის თავისუფლებას მფარველადა და მზრუნველად გაუხდა, სამაგიეროდ დაჰბადა საზიზღარი ბატონობა იქ, სადაც უიმისოდ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა.

ყოველივე, რაც-კი ან ავი ან კარგია დღეს-დღეობით დედამიწის ზურგზედ, ყოველივე ეს გუტტენბერგის აღმოჩენის ნაყოფია. მაშ მიუძღვნათ ღირსეული მადლობა, რადგანაც ყოველივე, რაც-კი მრისხანე ანგელოზს სიზმრად ჩასძახოდა, ასრულდა უკვე და მისის აღმოჩენით წარმოშობილი უხებლიეთი ბოროტი ათას გზის არის ანაზღაურებული სიკეთით“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 აპრილი.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ დაიწყო საქმის გარჩევა იმ 42-ის ბრალდებულისა, რომელთაც სკაპცების სექტის მიმდევრობა ჰბრალდებათ. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა.

**ეკატერინოსლავი.** მდინარე დნეპრი მეტად მოდიდდა; ნაპირის შენობები წყალმა წალეკა.

**კრონშტადტი.** ზღვაოსნობა უკვე დაიწყო.

**დონის როსტოვი.** კოშკინის გემი ტაგანროგის ნავთ-სადგურიდგან პეტერბურგს წავიდა.

**ლორენცო-მარკეზი.** პლუმერი იუწყება, რომ მეფეკინგთან 3,000 ბური სდგას. როგორც ამბობენ, საფოსტო მტრედების საშუალებით მიწერ-მოწერა აქვს თურმე პლუმერს მეფეკინგში მყოფ ინგლისელებთან. პლუმერს განზრახვა აქვს სამხრეთიდგან მეფეკინგის განსათავისუფლებლად წამოსულ ჯარებთანაც როგორმე გამართოს მიწერ-მოწერა.

**ტაბანჩუ.** საახალშენო ჯარების დივიზია ბრაბანტისა დღეს აქ მოვიდა და რენდლის რაზმს შეუერთდა. მტერი არსადა სჩანს.

**ვენა.** მთავრობამ სამი კანონ-პროექტი შეიტანა პალატაში განსახილველად: ერთი ამათგანი შეეხება ენების უფლებას ჩეხიაში, მეორე—ჩეხიაში სოლქო სამმართველოთა დაწესებას, ხოლო მესამე ენებისავე უფლებას მორავიაში. მხედრობისა და სახელმწიფო პოლიციის ენის შესახებ ჯერ [illegible] ძველი კანონებია ძალაში. ჩეხიაში დანიშნულია ხუთი ერთ-ენიანი გერმანელთა ოლქი, სადაც მცხოვრებთა უმცირესობას 20% შეადგენს. მორავიაში მხოლოდ შიგა-და-შიგ იქნება ენის მხრივ განსაზღვრული ოლქი.

**ბერლინი.** დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ძველი მუზეუმი დაათვალიერა, ინახულა სურათების გალლერეია და ქანდაკებანი და შუადღისას შპანდაუში მიბრძანდა, სადაც მათს იმპერატორებითს უმაღლესობას გვარდიის მეხუთე რაზმის უფროსი მიეგება. დიდმა მთავარმა ჯარი და ყაზარმები დაათვალიერა. საუზმეზედ დიდმა მთავარმა გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის სადღეგრძელო დალია. რაზმის უფროსმა დიდს მთავარს მადლობა გარდაუხადა, რომ ინება და მიბრძანდა, დიდი მთავარი ალტენბურგში მიბრძანდა.

**ლორენცო-მარკეზი.** 635,000 გირვანქა სტერლინგი ოქრო პარიჟში იქმნა გაგზავნილი, 26,000 გირვანქა ამსტერდამში და 11,000 გირვანქა ჰამბურგში.

აქ მრავალი ინგლისელი მოდის ტრანსვაალიდგან გამოგზავნილი.

26 აპრილი

**პრეტორია.** ფორმალურად დაიხურა 1899 წლის საეროვნო კრების სესია. ჟუბერისა და დე-კოკკის ადგილები დეფნის გვირგვინებით იყო მოფენილი. დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა; მყუდროება ჩამოვარდა. როცა კრიუგერი შემოვიდა კაპელანმა ლოცვა წაიკითხა, რომელშიაც ჟუბერი მოიხსენია. ბევრს ტირილი მოერია. ნაშუადღევს გაიხსნა ახალი სესია. კრიუგერი მოვიდა პარლამენტში სახელმწიფო ეტლით და ამალა ახლდა. დაესწრნენ კონსულები და სამხედრო აგენტები, მათ შორის პოლკოვნიკი გურკოც. კრიუგერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დიდის ქებით მოიხსენია განსვენებული ჟუბერი, შეაქო-რა მისი გულ-კეთილობა და სიმამაცე; ქებით მოიხსენია სიმედგრე ორანჟეს რესპუბლიკისა, რომელმაც დაიცვა ტრანსვაალთან დადებილი ხელ-შეკრულობა. ორანჟეს რესპუბლიკამო, — სთქვა პრეზიდენტმა,—ნათესავ რესპუბლიკას კარგი მაგალითი უჩვენაო. უცხო სახელმწიფოებთან, გარდა ინგლისისა, ტრანსვაალს კარგი დამოკიდებულება აქვსო. თავისის კანონებით და ყოფა-ქცევით ინგლისის შესახებ წარსულს წელში რესპუბლიკამ თვალსაჩინოდ ჰყო, რომ მას მშვიდობიანობა სურდაო. პრეზიდენტმა აუწყა კრებას ევროპაში სამშვიდობო დესპანების გაგზავნის შესახებ და მიუთითა იმაზედ, რომ სახელმწიფოებს თავიანთი სამხედრო აგენტები ჰყავსთ ბრძოლის ველზედ, რომელიც იმის ნიშანია, რომ იმათთვის საინტერესოა, თუ როგორის წესითა და რიგით ომობენ ბურებიო. პრეზიდენტმა სიხარული განაცხადა იმის გამო, რომ მთელი ქვეყნიერება ბურებს თანაუგრძნობს. პრეზიდენტმა მოიხსენია ტრანსვაალის პროტესტი, რომელიც სახელმწიფოებს გაუგზავნა, და რომელიც შეეხებოდა ინგლისის მხრივ ჟენევის კონვენციის დარღვევას. პრეზიდენტმა დაამოწმა, რომ ტრანსვაალს ნებას აძლევს თავისი ფინანსები გადაიტანოს ომისაგან მიყენებული განსაცდელიო; მადნები ძლიერ კარგს მდგომარეობაშია და ტრანსვაალი დაეხმარა ორანჟეს რესპუბლიკასო. პრეზიდენტმა უსურვა ბურებს კურთხევა ღვთისა და ამით დაამთავრა თავისი სიტყვა.

**სმალდელი.** გეტტონი წინ წავიდა და საღამოს, 24-ს, ჯარი დააბანაკა ველგელეგენთან. ბურებს აზრად აქვსთ, მდინარე ზანდთან თავ-გამოდებული წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისის ჯარს.

**მეფეკინგი.** 14 აპრილი. ქალაქმა და მეციხოვნე ჯარმა გადასწყვიტეს მტერს არ დაჰნებდნენ, რაც უნდა მოუვიდესთ. სანგლებსა და მოლოპოს დაბლობში საოფლე გაჩნდა. გუშინ პირველად დაურიგდათ ცხენის ხორცის ძეხვი.

**სმალდელი.** ვინბურგში სდგას გეილენდიორების ბრიგადა. სმალდელსა და ბრანდფორტს შუა რკინის გზა ძლიერ არის დაზიანებული. ვაალზედ ხიდი გაფუჭებულია, იმაზედ სიარული არ შეიძლება.

**ბარცელონა.** სტუდენტებმა უწესოება მოახდინეს. დარაჯები შევიდნენ უნივერსიტეტში ამოღებული ხმლებით. დაჭრილი ბევრია.

**მეფეკინგი.** 12 აპრილს ბურებმა საშინლად დაუშინეს ყუმბარები ქალაქს, რათა იერიშით მისული ჯარი დაეფარათ. ბურების აფიცრები ტყუილა ცდილობდნენ ჯარის-კაცნი გაჰყოლოდათ, რომელთაც უარი განაცხადეს შემოსულიყვნენ იმ წრეში, ხანამდისაც ჩვენი ტყვია და ყუმბარა სწვდებოდა; მაშინ ბურებმა წაიღეს ზარბაზნები, გარდა ორისა. საოფლე სუსტდება.

**სმირნა.** კაცი გარდაიცვალა, რომელსაც შავი ჭირის ნიშნები ჰქონდა.

**სმალდელი.** გეტტონმა ადგილების დაზვერვით მდინარე ზანდამდის აღმოაჩინა, რომ იქ მტრის ჯარი ბლომად ყოფილა. გუნტერი იუწყება, რომ ფორტინსტრიმსი ისე ავიღე, რომ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწევიაო. მტერი საჩქაროდ გაგვშორდა, მიატოვა-რა პატრონები და კერძო ნივთებიო.

**ბარცელონა.** შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ტარრაზში მივიდა, იძულებული იყო მაშინვე უკან დაბრუნებულიყო, რადგან მას წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინეს. მინისტრის ამალას ქვები დაუშინეს. თითონ მინისტრი დაჭრილია. მარკიზი პარტანო დაშავებულია.

**ვენა.** პალატა. გრძელი სიტყვის შემდეგ, რომელშიაც კერბერი ასაბუთებდა კანონ-პროექტს ენების შესახებ ჩეხიაში, ის შეუდგა აბსტრუქციის, მოითხოვა-რა გამოეძახნათ დეპუტატებისათვის და ამ უკანასკნელთ ფარულად ჩაეგდოთ კენჭი; ამასთანავე პაცაკმა, რათა დაესაბუთებინა ასეთი საქციელი, მოიხსენია, თუ როგორ იმარჯვებდნენ მემარცხენენი ობსტრუქციის წყალობით. ჩეხების ყველა ობსტრუქციონული წინადადება უარ-ყოფილ იქმნა. ხმის ჩამოტარების დროს ხმაურობა უყო. პრეზიდენტმა ბრძანა გალერეიები დაეცალათ. თითონ პალატაში უწესოება მოხდა სოციალისტებსა და ნემეცების ეროვნულ დასის წევრთა და ჩეხებს შორის. კრება დაიშალა.

## განცხადებანი





(50—267—27)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იღებს შეწირულებას სოფ. მარტყოფის (ტფილისის მაზრა) მაცხოვრის ხელთ-უქმნელ ხატის სახელობის ტაძრის განსაახლებლად.

(3—6.—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს; რომ გამგეობის სადგომში ამა წლის 29 აპრილს, დღის 12 საათზედ, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რათა იჯარით იქმნას გაცემული ქვა-ფენილის დაგება სასახლის ქუჩასა და მადათოვის კუნძულზედ, ნიკოლოზის ხიდის ორ ნაწილს შუა, ზომით 700 ოთხ-კუთხი საჟ. ეს ქუჩები უნდა დაგებულ იქმნას ხაქსის (*гранитъ*) ქვით, ისეკი, რომ საფუძველი ბეტონისა ჰქონდეს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ პირობათა შეტყობა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეთა გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—2)



### რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით ნიუ-იორკის საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება შეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

ის, რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის 6%-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

ის, რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ასეთ და-
[illegible]
[illegible]
რავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12—50—5)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე